ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 10

სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

23 თებერვალი , 2016 ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[3] მუხლის პირველი ნაწილის, მე-10[7] მუხლის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ და „ფ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016 წლის 23 თებერვალს გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგ სტუქტურულ ერთეულებში;
   - **1.1 ხელნაწერთმცოდნეობის სამეცნიერო- სასწავლოდეპარტამენტი:**
     - 1.1.1 მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი - 2(ორი) საშტატო ერთეული
     - 1.1.2 მეცნიერი-თანამშრომელი - 3 (სამი) საშტატო ერთეული
   - **1.2 კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება**
     - 1.2.1 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი -3 (სამი) საშტატო ერთეული
     - 1.2.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 3 (სამი) საშტატო ერთეული
   - **1.3 არქივმცოდნეობის განყოფილება:**
     - 1.3.1 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული
     - 1.3.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი 1 (ერთი) - საშტატო ერთეული
   - **1.4 სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილება:**
     - 1.4.1 უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი 1 (ერთი) საშტატო ერთეული
     - 1.4.2 მეცნიერი-თანამშრომელი 1(ერთი) საშტატო ერთეული

2. დამტკიცდეს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი პირობები დანართი 1-ის შესაბამისად;
3. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაა:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ----- ფურცელი;
- ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით), ----- ფურცელი;
- დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი ----- ფურცელი;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ინფორმაცია არ არის მოცემული ავტობიოგრაფიაში/ CV-ში), ----- ფურცელი;
- გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს, ----- ფურცელი;
- ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა განმცხადებლის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა (არაუმეტეს 2 გვერდისა), ----- ფურცელი;
- ჩამონათვალი სამეცნიერო გრანტების (მონაწილეობა/ხელმძღვანელობა) --------- ფურცელი;
- ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ჩამონათვალი -------- ფურცელი ;
- ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი ვაკანტურ პოზიციაზე უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისა), ----- ფურცელი;
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დარგის განვითარების კონცეფცია, რომელიც შეეხება როგორც ცალკეული მიმართულების (კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა-დიპლომატიკა, არქივმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია-ლექსიკოლოგია), ასევე, ზოგადად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო პოტენციალის განვითარების სტრატეგიულ გეგმებს/ხედვას. (აღნიშნული კონცეფციის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრებათ, მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც კონკურსში მონაწილეობენ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად);
- ინფორმაცია შესაბამისი დარგის 2 რეკომენდატორის შესახებ (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელ-ფოსტა), (ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ინფორმაცია არ არის მოცემული ავტობიოგრაფიაში/ CV-ში), ----- ფურცელი.

4. გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის 2 ეტაპი:

- განცხადებების გადარჩევა
- გასაუბრება

5. საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 23 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით 11:00 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის საქმისწარმოების სამსახურში მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1/3 .
6. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2016 წლის 30 მარტი.
7. კონკურსის შედეგები გამოცხადეს არაუგვიანეს 2016 წლის 31 მარტისა.
8. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ზაალ აბაშიძე** (სსიპ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **მაია რაფავა** (სსიპ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **მზექალა შანიძე**, (სსიპ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)

დ) **ზაზა ალექსიძე** (სსიპ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)

ე) **ნინო მელიქიშვილი** (სსიპ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)

თ) **დარეჯან თვალთვაძე**, (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ი) **გიორგი ოთხმეზური** (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კ) **ხათუნა გორდეზიანი**, (კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) - კომისიის მდივანი ხმის უფლების გარეშე;

9. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე ბრძანების დანართით (დანართი 2)
10. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების სამსახურს აღნიშნული ბრძანებისა და თანდართული დოკუმენტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება;
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*